MES 1 23 0000273667

09/03/2023

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის
საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 21 თებერვალს.**
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **კახა შენგელია** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პრეზიდენტი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **გაგა გვენეტაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის მენეჯერი, პროფესორი;
5. **დავით ბოსტოღანაშვილი** - შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
6. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;

7. **ნინო იმნაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. **გია ლობჟანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი;
9. **ელენე ჟურავლოვა** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
10. **ლელა სალაყაია** - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი, შპს „ვიონი საქართველოს“ პერსონალთა მუშაობისა და ადმინისტრაციულ საქმეთა დირექტორი, დამსაქმებელი;
11. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
12. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) წარმომადგენლები:
ანა ჯავახიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი:

1. გიორგი მათიაშვილი - რექტორი;
2. ელისო ელისაშვილი - კანცლერი;
3. ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე - ვიცე რექტორი ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით;
4. სოფიკო თევდორაძე - ვიცე რექტორი სასწავლო პროცესების მართვის მიმართულებით;
5. მარიამ დარბაიძე - კანცლერის მრჩეველი;
6. თათია დოლიძე - გთუნის იურისტი;
7. გელა ალადაშვილი - ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი;
8. გივი ლობჟანიძე - სამართლის ფაკულტეტის დეკანი;
9. ლიკა ხარებავა - ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
10. ნინო ბოჭორიშვილი - სამართლის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი;

1. საფფეთ ბაირაქთუთანი - რექტორი
2. ნინო ჯოჯუა - პრორექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით;
3. თეა კბილცეცხლაშვილი, პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში;
4. . თამთა ცხოვრებაძე, პრორექტორი განათლების მიმართულებით;
5. თამარ შუდრა; იურიდიული სამსახურის უფროსი;

6. თამარ შიოშვილი; განათლების, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სკოლის დეკანი;
7. ქეთევან ქოქრაშვილი, სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი
8. ილია ბოცვაძე, ბიზნესის სკოლის დეკანი;
9. თეა თოდუა, კომპიუტერული მეცნიერებისა და არქიტექტურის სკოლის დეკანი;
10. ქეთევან ნანობაშვილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

1. დავით მახვილაძე, სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. ხათუნა მხეიძე, სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე;
3. ზურაბ გვიშიანი, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი;
4. მარინა ჯავახიშვილი, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
5. ირმა ინაშვილი, „წყლის ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
6. ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილი, პროფესორი;
7. კოტე ბზიავა, ასოცირებული პროფესორი;
8. თინათინ დათიაშვილი, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

4. შპს სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი":

1. მანანა ცერცვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი
2. მარიამველიჯანაშვილი - დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების (ქართული/ინგლისური) ხელმძღვანელი - პროფესორი;
3. ზურაბ ცეცხლაძე - რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში - პროფესორი;
4. ნანა გვენეტაძე - საერთაშორისო ურთიერთობებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - პროფესორი;
5. თამარ სოზიაშვილი - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
6. ელენე ასანიძე - ასისტენტ - პროფესორი - .

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

1. ეკა გეგეშიძე
2. ეკატერინე ბაკარაძე
3. ილია ბოცვაძე
4. თამთა დემეტრაძე
5. თინათინ გაბრიჩიძე
6. ქეთევან აფთარაშვილი
7. ჯოვანა აბლოთია
8. დიანა მჭედლიშვილი
9. ჯილდა ჭეიშვილი
10. ელენე გიგინეიშვილი

11. ია ნაცვლიშვილი
12. ზაზა ცოტნიაშვილი

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა ;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების გახილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "წყლის ინჟინერიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა (ჩარჩო);
4. შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედში" განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

• კი

ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოზე დააყენა შუამდგომლობა, 2023 წლის 18 იანვრის №45637 ოქმის მე-6 ნაწილში, კერძოდშპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვის პრცესში დაშვებული ხარვეზების გასწორების შესახებ;
ცენტრის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მიმართებით ცენტრში წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

საბჭოს სამუშაო მასალებში წარმოდგენილი იყო საჩივარი, რომლიც მიხედვითაც განმცხადებელი აღნიშნავდა რომ მის ნაშრომებს სხვა პირები იყენებდნენ თავიანთ ნაშრომებში, შესაბამისად, სახეზე იყო პლაგიატი. განმცხადებელი ითხოვდა საქმის გარემოებების გამოკვლევას. ცენტრმა მოახდინე რეაგირება და საკითხთან დაკავშირებული პოზიციის წარმოდგენის მიზნით მიმართა როგორც მოქალაქეს ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. საკითხის შესწავლის ეტაპზე, მოქალაქემ მიწერა, რომ უნივერსიტეტთან არსებული გაუგებრობა მოგვარდა, კერძოდ პირი რომელიც პასუხისმგებელ იყო პლაგიატზე გათავისუფლებული იქნა სამსახურიდან და შემუშავებული იქნა დამატებითი მექანიზმები მსგავსი საკითხების აღმოფხვრის მიზნით. გამომდინარე აქედან, განმცხადებელმა მოითხოვა წარმოების შეწყვეტა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 იანვრის №45637 ოქმის მე-6 ნაწილში დაშვებული ხარვეზის გასწორების შესახებ;
2. სიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ საჩივრის საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების გახილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "წყლის ინჟინერიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა (ჩარჩო);
5. შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედში" განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
6. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა ;

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 იანვრის №45637 ოქმის მე-6 ნაწილში დაშვებული ხარვეზის გასწორების შესახებ;

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

• კი

თვითაცილება განაცხადა- დავით ბოსტოღანაშვილმა

საფუძველი - შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

ენტრის წარმომადგენელმა საბჭოზე დამსწრე წევრებს გააცნო, რომ ფიქსირდება სამართლებრივი და ფაქტობრივი შეუსაბამობები, შესაბამისად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გაცნობოთ არსებული შეუსაბამობების შესახებ, კერძოდ:

1. ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შეფასებული აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ანგარიში უმაღლლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე მოხსენიებულია, როგორც ავტორიზაციის მონიტორინგის ვიზიტი, ხოლო დასკვნა, რომელიც ანგარიშის შეფასების შემდგომ იქნა ექსპერტთა მიერ მომზადებული - მონიტორინგის დასკვნად. დასახელებული ჩანაწერები არ არის სამართლებრივად თავსებადი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის №99/ნ ბრძანების„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 79^1 - ე მუხლის შინაარსთან. რომლის თანახმადაც აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ანგარიშის წარმოდგენა და შეფასება, როგორც თქვენთვის ცნობილია არ განიხილება, როგორც ავტორიზაციის პირობების შემოწმება მონტორინგის ვიზიტი.
2. ოქმის ტექსტში ვკითხულობთ, რომ ექსპერტთა მიერ მომზადებული დასკვნის თანახმად 3.3. ქვესტანდარტი შეფასდა ნაწილობრივ, რაც არ არის თავსებადი დასკვნის შიინაარსთან. კერძოდ, დასკვნის თანახმად ყველა სტანდარტი და ქვესტანდარტი შეფასდა, როგორც სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ ხოლო 3.3. ქვესტანდარტთან მიმართებით განსაზღვრული ერთი რეკომენდაციის საფუძველზე ექსპერტთა მიერ შეფასებული იქნა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ამასთან, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ უნივერსიტეტის მიერ მოცემული რეკომენდაციის შესრულების მზაობის და შესაბამისი

მტკიცებულების წარმოდგენის მიუხედავად, თავად საბჭოს მიერ არარელევანტურად იქნა მიჩნეული 3.3. ქვესტანდარტის რეკომენდაცია და ცხადად განიმარტა, რომ მისი განსაზღვრა მხოლოდ რჩევის სტატუსით არის შესაძლებელი. მოცემული მსჯელობა, რომელიც საბჭოზე ფაქტობრივად შედგა, არ არის სრულფასოვნად ასახული საოქმო ჩანაწერში. ამასთან, მნიშვენლოვანია დაზუსტდეს, რომ 3.3. - ში განსაზღვრული ექსპერტთა რეკომენდაცია ეხებოდა მხოლოდ ერთ - დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას.

3. გადაწყვეტილების, ასევე უნივერსიტეტის საკითხის განხილვის დასაწყის ნაწილში მოხსენიებულია „მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია“. პირველი პუნქტის მსჯელობის დროს როგორც უკვე აღვნიშნეთ, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შეფასების წარმოება რეგულირედება 79 [1] -ე მუხლის შესაბამისად, რომლის თანახმადაც ანგარიშის შეფასების შემდგომ ექსპერტები ამზადებენ დასკვნას და არა დასკვნის პროექტს. ესაბამისად დასახელებული ჩანაწერი „მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცი“-ის შესახებ სამართლებრივად და ფაქტორბივად შეუსაბამოა. უნივერსიტეტი მოკლებული იყო შესაძლებლობას ექსპერტთა დასკვნის გაცნობის შემდგომ წარმოედგინა არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, რაც არ წარმოუდგენია იგი ვერ განიხილება საბჭოს გადაწყვეტილების ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძვლად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისრაზე დააყენა:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 იანვრის №45637 ოქმის მე-6 ნაწილში დაშვებული ხარვეზის გასწორების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გასწორდეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 18 იანვრის №45637 ოქმის მე-6 ნაწილში დაფიქსირებული ხარვეზები, კერძოდ:
1. 2023 წლის 18 იანვრის №45637 ოქმის მე-15 გვერდზე დაფისქირებული ექსპერტთა მოსაზრება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქტირებით:
“ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის შესწავლა განხორციელდა ონლაინ რეჟიმში, საგანმანათლებლო დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნის მომზადებისთვის იხელმძღვანელა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის შესწავლა განხორციელდა მარიამ ბანძელაძის (თავმჯდომარე) - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრისა და ნანი ყავლაშვილის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა კორპუსის წევრის მიერ. ბრძანების თანახმად ექსპერტებს განესაზღვრეთ 12 სამუშაო დღე ანგარიშის დასკვინის მომზადებისთვის. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულყოფილია და თავისუფლად იძლევა მსჯელობის დადასტურების შესაძლებლობას. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფს მიაჩია რომ ექვსი სტანდარტის (1, 2, 4, 5, 6, 7) ყველა ქვესტანდარტი სრულ

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო ერთი სტანდარტის (მე-3 სტანდარტი) სამი ქვე-სტანდარტი სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ერთი კი (3.3.) "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან."

2. გადაწყვეტილების ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ავტორიზაცუუს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 79[1] მუხ ლის მე-13 პუნქტის და 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პროცესის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად."

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ საჩივრის საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეჩერების საკითხი;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

თვითაცილება განაცხადა- დავით ბოსტოღანაშვილმა

საფუძველი- შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (შემდგომში - ცენტრი) 2022 წლის 4 მაისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს №449781 წერილით განსახილველად გადმოეგზავნა ლელა მეტრეველის 2022 წლის 26 აპრილის განცხადება (სამინისტროში რეგისტრაციის №426859; 28/04/2022). აღნიშნული განცხადება შეეხებოდა ლელა მეტრეველის ნაშრომების გამოყენებისა და პლაგიატის ფაქტებს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ.

აღსანიშნავია, რომ ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საკითხის შესწავლის მიზნით, აწარმოებდა კომუნიკაციას, როგორც განმცხადებელთან, ასევე, უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან. შესაბამისად, ცენტრმა რამდენჯერმე მიმართა უნივერსიტეტს ზემოაღნიშნული მოქალაქის განცხადებაში აღწერილი საკითხების თაობაზე პოზიციის წარმოდგენის შესახებ (წერილი №541444, 25/05/2022; №684583, 21/06/2022; №919382, 18/08/2022). (დაწესებულების №8446/01-03-01 წერილი (ცენტრში რეგისტრაციის №634717, 13/06/2022)).

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, განმცხადებლის თხოვნის შესაბამისად, დისტანციურ ფორმატში გაიმართა შეხვედრა განმცხადებელსა და ცენტრის წარმომადგენლებს შორის. შეხვედრის ფარგლებში განმცხადებელმა წარმოადგინა დამატებითი გარემოებები საკითხის ირგვლივ. ცენტრის მხრიდან კორესპონდენციის ავტორს განემარტა ცენტრის უფლებამოსილების ფარგლები საკითხის შესახებ. ამასთან, განმცხადებელმა ცენტრში წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტები (ცენტრში რეგისტრაციის - №1205629, 03/10/2022).

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლ დაწესებულებას სტუდენტებისა და პერსონალისთვის შემუშავებული უნდა ჰქონდეს ეთიკისა და ქცევის წესები და ასევე განსაზღვრული უნდა ჰქონდეს ამ წესების დარღვევაზე რეაგირების შესაბამისი პროცედურები. ასევე, დაწესებულების შესაბამისი რეგულაციები უნდა ითვალისწინებდეს პლაგიატის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირების მექანიზმებს.
საგულისხმოა, რომ ცენტრის მიერ 2022 წლის 5 ოქტომბერს დაწესებულებას გაეგზავნა №1233403 წერილი, სადაც განემარტა, რომ კორესპონდენციაში ასახული გარემოებები და განმცხადებლთან ჩატარებული შეხვედრიდან გამომდინარე, საკითხის შესწავლა ცენტრის მიერ შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მისი კომპეტენციის ფარგლებში - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით.

უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარმოდგენილი 2022 წლის 4 ნოემბრის №16848/01-01-03 წერილის (ცენტრში რეგისტრაციის - №1406948, №1407261) შესაბამისად, რომ დაწესებულების აკადემიურმა საბჭომ მხარი დაუჭირა აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის რეკომენდაციას, რომ მხარეებთან შეთანხმებით მოხერხდეს დარგობრივი ექსპერტის/ექსპერტების (ვიწრო სპეციალიზაციით) ჩართვა საკითხის შესწავლაში. ექსპერტთა მოწვევას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი.
დამატებით ასევე მოგახსენებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2022 წლის 27 ოქტომბერს ცენტრში გამოგზავნილი №1367337 წერილის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს, ბატონ ვალერიან გობრონიძეს ჩვენი მხრიდან ეცნობა საკითხთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ.

გაცნობებთ, რომ 2023 წლის 10 იანვარს განმცხადებელმა ცენტრს აცნობა (№10278), რომ 2022 წლის 31 ოქტომბერს, საკითხი ხელმეორედ განიხილა თსუ-ს აკადემიურმა საბჭომ, დაადგინა პლაგიატის ფაქტები, რასაც მოჰყვა შესაბამისი რეაგირებებიც. შესაბამისად, განმცხადებელი ცენტრის მიმართ გამოხატავს მადლიერებას აკადემიური ეთიკის საკითხების დაცვისა და განცხადებასთან დაკავშირებით გამოყენებული მიდგომების გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საკითხი ამ ეტაპზე ამოწურულია და განმცხადებელი არ წარმოადგენს დამატებით ფაქტებს კანონმდებლობით გათვალისწინებული დათქმების შესაბამისად, ცენტრი მიმართავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულბების ავტორიზაციის საბჭოს საკითხის განხილვის შუამდგომლობით.

საბჭოს თავმჯდომარემ ჯენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ საჩივრის საფუძველზე დაწყებული წარმოების შეჩერების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განცხადებაში ასახული ინფორმაციის, და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტის საფუძველზე შეწყდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ წარმოდგენილ განაცხადზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• არა
საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
• არა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2020 წლის მარტში, უნივერსიტეტმა შეიცვალა მფლობელი და შესაბამისად, მისი მესაკუთრე გახდა შპს Georgian International Education Investement, რომელიც ანგარშში მოხსენიებული იყო როგორც ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფი. შესაბამისად, ამ ცვლილების საფუძველზე მოხდა უნივერსიტეტის სტრუქტურის, მმართველობისა და სტრატეგიული დოკუმენტების რევიზია და სრულიად განახლება. პროცესს თან ერთვოდა ავტორიზაციის განმავლობაში რეკომენდაციების შესრულების საკითხი. გამომდინარე აქედან, თავისთავად მოხდა სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანა. უსდ-ს დამფუძნებლებთან და მათ წარმომადგენლებთან საუბრის საფუძველზე დადგინდა, რომ მათ აქვთ ამბიციური გეგმები და სურვილი იმისა, რომ უსდ გახდეს ცნობადი არა მხოლოდ ლოკალურ, არამედ საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე. იყოს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კურსდამთავრებულებით. დამფუძნებლების და უსდ-ს მმართველი რგოლის მიზნები და სტრატეგიული ხედვები ემთხვევა საქართველოს ეკონომიკური განვითარების და საქართველოს უმაღლესი განათლების მიზნებს. უსდ-ს ახალ მფლობელებს გაწეული აქვთ მნიშვნელოვანი ძალისხმევა ორგანიზაციის განვითარებისთვის, რაც იმითაც დასტურდება, რომ ამ მოკლე დროში უნივერსიტეტმა 2 ინგლისურენოვანი პროგრამის აკრედიტაცია მოახდინა. მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ავტორიზაციის შედეგად გაცემული რეკომენდაციების სრულიად იქნა შესრულებული და შესაბამისად განხორციელდა აუცილებელი ცვლილებები, მიუხედავად ამისა ექსპერტებმა კვლავ დატოვეს ერთი

რეკომენდაცია, კერძოდ მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტი საკმაოდ კარგად იყო წარმოდგენილი, დაწესებულება კიდევ გეგმავს ბიუჯეტის გაზრდას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა ბიუჯეტთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, კერძოდ განმარტა, რომ ბიუჯეტის მდგრადობას და მიზნების მიღწევის რეალისტურობას კი ადასტურებდა ახალი დამფუძნებლის მიერ პირადი ინვესტიციებისა და საკრედიტო ხაზის გარანტიები. სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების კვალდაკვალ, შეიმქნა კოლეგიური ორგანო - მმართველი საბჭო რომელიც უშუალოდ უზრუნველყოფდა საბიუჯეტო პოლიტიკის განსაზღვრას და ამავე ბიუჯეტის კონტროლს. მმართველ საბჭოში წარმოდგენილი იყვნენ არა მხოლოდ სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალი არამედ დამსაქმებელი, სტუდენტი, კურსდამთავრებული რაც ქმნიდა შესაბამის ინსტრუმენტებს მაქსიმალურად ობიექტური გადაწყვეტილებების მიღებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ დატოვებულ რეკომენდაციას ჰქონდა რჩევის ხასიათი, ვინაიდან ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანი იყო შესაბამისი ინვესტიციები. ამასთან, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ყველა რეკომენდაცია იყო სრულიად შესრულებული მხოლოდ 29-ე რეკომენდაცია იყო აღნიშნული როგორც მეტწილად შესრულებული, გამომდინარე აქედან საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჰყავდა სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად იყო ჩართული საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. სტუდენტური თვითმმართველობა გეგმავდა და ახორციელებდა სხვადასხვა აქტივობას, თვითმმართველობის წევრები ჩართულნი იყვნენ მმართველი საბჭოს მუშაობაში, თუმცა, მნიშვნელოვანი იყო მეტი ჩართულობა უნივერსიტეტის მართვის პროცესებში.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 14: 26 საათი

საბჭოს სხდომა განახლდა: 14:28 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის საფუძველზე შეწყდეს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

4. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების გახილვა;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2022 წლის 28 ნოემბერს, ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განხორციელდა ვიზიტი. ინტერვიუ შედგა როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში შემოსული საჩივრის განცხადების ავტორებთან, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე უსდ-ს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა დამატებით გარემოებები, რის საფუძველზეც დამატებით იქნა გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტაცია, რაც წარმოდგენილ იქნა დაწესებულების მიერ. მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა მომჩივანთა განცხადებები, შეისწავლა გარემოებები, რომლებიც ასახული იყო ამ განცხადებებში, ასევე განიხილა დაწესებულების მიერ ამ საკითხებთან და საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებთან მიმართებით წარმოდგენილი მასალა, ინტერვიუების დროს მიღებული ინფორმაცია და წარმოადგინა შესაბამისი დასკვნა. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა 2023 წლის 23 იანვრის წერილით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით; არგუმენტირებული პოზიციის თანახმად, დაწესებულება სრულად არ იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციას და რიგ მათგანს მიიჩნევს რჩევად (მე-2,მე-3, მე6 რეკომენდაციები), რასაც ექსპერტთა ჯგუფი ტოვებს რეკომენდაციად. ასევე, მაგალითად, მე-5, მე-8 რეკომენდაციების შესასრულებლად ვიზიტის შემდგომ დაწესებულების მიერ დაწყებული იყო ცვლილებები.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ პროგრამის შემუშავების ჯგუფმა უკვე გააკეთა ცვლილებები, კერძოდ, დაემატა არჩევითი სასწავლო კურსები, გამდიდრდა განმახორციელებელი პერსონალით, ჩამოყალიბდა სწავლის შედეგები შესაბამისი გზით, გადაიხედა და შეიცვალა მანამდე არსებული კონცენტრაციები. კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო პროგრამაში დაემატა ერთი სავალდებულო კურსი დარგობრივი მოთხოვნების შესაბამისად. ასევე, ჩატარებული იქნა კურსდამთავრებულთა კვლევა მათი დასაქმების მაჩვენებლების დასადგენად. წარმოდგენილია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ამსახველი მასალა, ასევე, პროგრამების განსაზღვრულ ვადაში დასრულებისა და განთესვის

მონიტორინგის შედეგები, რაც ლოგიკურად გამოიყურება, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ფაქტი, რაც მომჩივანი კურსდამთავრებულების მიერ აღინიშნა, კერძოდ, ის, რომ დიპლომების გაცემა ხდებოდა ხოლმე დაგვიანებით და მათ შორის ერთ-ერთი მომჩივანი კურსდამთავრებულის დიპლომი, რომელიც ამავე უნივერსიტეტში საბაკალავრო საფეხურზეც სწავლობდა, გაიცა დაგვიანებით. აღნიშნულის დადასტურება ექსპერტების მხრიდან შეუძლებელია, რამეთუ, არსებული რეგულაციის თანახმად, კერძოდ, ,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გაცემის წესის'' მიხედვით, დიპლომები ინახება უვადოდ და ნებისმიერ დროს შეუძლია კურსდამთავრებულს, მიმართოს უნივერსიტეტს და აიღოს დიპლომი. ამასთანავე, დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დიპლომისა და მისი დანართის დამზადების პროცესი ავტომატიზებულია. კერძოდ, SIS სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა და სასწავლო პროცესის მართვის სისტემა იძლევა საშუალებას, რომ დიპლომის დანართი ამოიბეჭდოს ავტომატურად ბაზიდან, რაც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად ეხმარება დაწესებულებას დიპლომისა და მისი დანართის გაცემა მოხდეს გონივრულ დროში ეფექტიანად. ასევე, ინტერვიუს დროს სხვა კურსდამთავრებულებს არ გამოუთქვამთ უკმაყოფილება დიპლომის გაცემის ვადებთან დაკავშირებით; დაწესებულების მიერ კი განიმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ რეგულაციის დონეზე წინასწარ არ იყო განსაზღვრული დიპლომის გაცემის ვადები, პრაქტიკულ ვადად განსაზღვრული აქვთ არაუმეტეს 6 თვე, ხოლო მომართვიანობის შემთხვევაში ხდება დაჩქარებული ვადითაც მომზადება/გაცემა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში არსებული რეკომენდაციები:

1. სამაგისტრო ნაშრომების სათაურისა და ხელმძღვანელის განსაზღვრა განხორციელდეს სამაგისტრო სწავლების დებულების თანახმად.

2. რეკომენდებულია, დისტანციურად კვლევით კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი/დისერტაცია) დაცვისთვის შემუშავებულ იქნას დაცვის რეგლამენტი, სადაც გათვალისწინებული იქნება დისტანციური ფორმატის თავისებურებები

3. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მეტი გამჭვირვალობისა და სანდოობისთვის, დაცვის კომისიის შემადგენლობაში სავალდებულოდ განისაზღვროს დამატებით 1 მოწვეული პირი

4. რეკომენდებულია, სტუდენტებთან კომუნიკაცია/კონსულტაციის გაწევის პროცესში ჩართული პოზიციაზე ახლად დანიშნული პირის/პირების სტუდენტებისთვის ფორმალური წარდგენა (საინფორმაციო შეხვედრა), ფუნქციების გაცნობა მოხდეს დროულად და გაძლიერდეს კვლევითი ნაშრომის ხელმძღვანელთა კომუნიკაცია;

5. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გამჭვირვალობისა და სტუდენტთა მიერ საკუთარი გასაუმჯობესებელი მხარეების მეტად ინფორმირების მიზნით, რეკომენდებულია იბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ნაშრომის შეფასების შეყვანა განხორციელდეს დეტალიზებულად - შეფასების კომპონენტების მიხედვით.

6. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობა დასამტკიცებლად წარდგენილ იქნას არა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის, არამედ პროგრამის ხელმძღვანელის მიერ;

7. რეკომენდებულია, სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი იყოს/მიეწოდოს სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის განმავითარებელი (ქულის გარეშე) წერილობითი შეფასება

8. რეკომენდებულია, მიეცეს სტუდენტს შესაძლებლობა, არგუმენტირებული განაცხადის საფუძველზე, გაასაჩივროს კომისიური წესითაც შეფასებული ნაშრომი ან ნაშრომის დაცვის რეგლამენტი, თუ მიიჩნევს, რომ ის დარღვეულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადახადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი იზიარებდა რეკომენდაციების ნაწილს თუმცა დიდი ნაწილს არ ეთანხმებოდა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას ვიზიტამდე ჰქონდა გაზიარებული რეკომენდაციების ნაწილი.
ექსპერტთა დასკვნის გაცნობის შემდგომ დაწესებულებამ წარადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რაც სამწუხაროდ ექსპერტების მიერ არ იქნა გათვალისწინებული და შესაბამისად, დასკვნაში ყველა რეკომენდაცია დარჩა უცვლელად, ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა ავტორიზაციის დებულებასთან.
დაწესებულების წარმომადგენელმა თავდაპირველად ისაუბრა რეკომენდაციებზე, რომელთა გაზიარებაც მოხდა დაწესებულების მიერ, კერძოდ უნდა აღინიშნოს მე-5 რეკომენდაცია, რომელიც ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გამჭვირვალობისა და სტუდენტთა მიერ საკუთარი გასაუმჯობესებელი მხარეების მეტად ინფორმირების მიზნით, რეკომენდებულია იბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ნაშრომის შეფასების შეყვანა განხორციელდეს დეტალიზებულად - შეფასების კომპონენტების მიხედვით. მოცემული რეკომენდაცია დაწესებულების მიერ სრულიად იქნა გაზიარებული და გატარდა შესაბამისი ცვლილებები, რაც დასტურდება შესაბამისი პლატფორმაზე მოცემული ინფორმაციის საფუძველზე. მოცემული პლატფორმიდან სტუდენტს ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა როგორც შეფასებებს, ქულების სახით, ასევე კომპონენტების სახით. ვიზიტის დროს ექსპერტებს წარედგინათ კვლევითი შეფასების კომპონენტის ფორმები, რისი შევსების შემდგომაც ინფომრაცია იტვირთებოდა ელექტრონულ პორტალზე, რაც უზრუნველყოფდა სტუდენტის ინფორმირებულობის დონის გაზრდას.
რაც შეეხება მე-8 რეკომენდაციას- რეკომენდებულია, მიეცეს სტუდენტს შესაძლებლობა, არგუმენტირებული განაცხადის საფუძველზე, გაასაჩივროს კომისიური წესითაც შეფასებული ნაშრომი ან ნაშრომის დაცვის რეგლამენტი, თუ მიიჩნევს, რომ ის დარღვეულია, მოცემული სრულიად იქნა გათვალისწინებული დაწესებულების მიერ, რაც ასევე ექსპერტთა დასკვნაშიც იყო აღნიშნული. მოცემულ საკითთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გასაჩივრებასთან დაკავშირებით დოკუმენტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომელიც ითვალისწინებდა როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი კომპონენტის, მათ შორის კომისიური წესით მიღებული შეფასების გასაჩივრებას.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულების არით მიეკუთვნებოდა რჩევის კატეგორიას, ასეთი იყო კერძოდ მე-2 და მე-3 რეკომენდაცია- რეკომენდებულია, დისტანციურად კვლევით კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი/დისერტაცია) დაცვისთვის შემუშავებულ იქნას დაცვის რეგლამენტი, სადაც გათვალისწინებული იქნება დისტანციური ფორმატის თავისებურებები; რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მეტი გამჭვირვალობისა და სანდოობისთვის, დაცვის კომისიის შემადგენლობაში სავალდებულოდ განისაზღვროს დამატებით 1 მოწვეული პირი. მნიშვნელოვანია, რომ არც ავტორიზაციის სტანდარტებით და არც ავტორიზაციის სტანდარტების შეფასების კრიტერიუმებით არ განისაზღვრებოდა აღნიშნული საკითხები.
აღსანიშნავია ასევე მე-6 რეკომენდაცია, კერძოდ რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობა დასამტკიცებლად წარდგენილ იქნას არა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის, არამედ პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. მნიშვნელოვანია, რომ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდებოდა სკოლის საბჭოს მიერ შექმნილი კომისიის წინაშე. კომისიის წევრები ინიშნებოდნენ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე. აღნიშნული გამომდინარეობდა იქიდნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი უკეთ იცნობდა სამაგისტრო ნაშრომის შინაარსს და შეეძლო უფრო სწორად, შესაბამისი კვალიფიკაციის გათვალისწინებით წარედგინა კომისიის წევრები.
უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა იმ რეკომენდაციებზე, რომლებსაც დაწესებულება არ ეთანხმებოდა და შესაბამისად არ ასახავდა რეალურ მდგომარეობას. ამ კუთხით უნდა აღინიშნოს პირველი რეკომენდაცია, კერძოდ სამაგისტრო ნაშრომების

სათაურისა და ხელმძღვანელის განსაზღვრა განხორციელდეს სამაგისტრო სწავლების დებულების თანახმად. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებს მატერიალურ სახით მიეწოდათ სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის მიერ სტუდენტებისთვის გაგზავნილი ხელმძღვანელებისა და სავარაუდო საკვლევი თემატიკების ჩამონათვალი. ხელმძღვანელის არჩევის შემდგომ, საკვლევი თემატიკებიდან სტუდენტების ინტერესთა გათვალისწინებით ხელმძღვანელთან ერთად ხდებოდა ნაშრომის სავარაუდო სათაურების დაკორექტირება. შესაბამისი სახით კორესპონდენცია იგზავნებოდა კვლევით კომპონენტზე დარეგისტრირებულ ყველა სტუდენტთან, სამაგისტრო დებულების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ თუ რატომ იკავებდნენ თავს გარე შეფასების ჩატარებისგან და ასევე საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ როგორ მოხდებოდა სამაგისტრო დაცვის შემდგომ აპელაცია.

საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ კომისიური წესით გასაჩივრების შემოღება სამომავლოდ შეეხებოდა თუ არა სტუდენტებს სამსჯელო საკითხის შესაბამისად მნიშვნელოვანია საკითხის გადაწყვეტის შუალედური და ალტერნატიული მეთოდების მოძიება. მომჩივანი სტუდენტების აკადემიური მოსწრების გადახედვის შემდგომ ნათლად ჩანს, რომ სტუდენტები გადიოდნენ წითელ დიპლომზე, შესაბამისად მათთვის მაღალი შეფასების მიღება იყო მნიშვნელოვანი. ამასთან, კომისიის შემადგენლობაში იყოს მხოლოდ სამი წევრი, შესაბამისად რაოდენობის გაზრდა შესაძლოა პრობლემის გადაწყვეტის გზა ყოფილიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართადაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუციას არაფერი არ ჰქონდა საწინააღმდეგო გარე შეფასების ჩატარების საკითხთან დაკავშირებით, უბრალოდ აღნიშნული არ უნდა ყოფილიყო განსაზღვრული რეკომენდაციის სახით, არამედ უნდა აღნიშნულიყო როგორც რჩევა.

რაც შეეხება გასაჩივრების სისტემას, მოცემული რეგულაციაშიც იყო გათვალისწინებული და შესაბამისად კომისიური წესით შეფასების ნაწილზეც გავრცელდა. ორივე შემთხვევაში, სტუდენტს უფლება ჰქონდა გაესაჩივრებინა ორივ მთავარი ელემენტი, ესენია რეგლამენტი და შინაარსობრივად თავად შეფასება. თუ სტუდენტი ასაჩივრებდა დაცვის რეგლამენტს, მოცემულ შემთხვევაში სკოლის საბჭოს ქმნიდა კომისიას, რომელიც აფასებდა თუ რამდენად სწორად მოხდა ნაშრომის დაცვის ჩატარება და აქედან გამომდინარე გამოაქვს გადაწყვეტილება, შეფასება დარჩეს უცვლელი, თუ თავიდან ჩატარდეს დაცვა, ხოლო შინაარსობრივ ნაწილთან დაკავშირებით, კვლავ იქმნებოდა სკოლის კომისია ?ომელიც შინაარსობრივად სწავლობდა და აფასებდა საკითხს, შესაბამისად კომისიას უფლება ჰქონდა შეეცვალო შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა სტუდენტთა აკადემიური მოსწრებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტისთვის სრულიად გასაგებია იყო მომჩივანი სტუდენტების გულდაწყვეტა საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ იმის მტკიცება რომ თუ სტუდენტს მაღალი შეფასება ჰქონდა სასწავლო კომპონენტში კვლევით კომპონენტშიც იდენტურად იქნებოდა არ არის სწორი. რაც შეეხება კომისიის წევრების რაოდენობის გაზრდას, უნდა აღინიშნოს, რომ სამივე კომისიის წევრი არის საკმაოდ კომპეტენტური რაც დასტურდებოდა ასევე ექსპერტების მიერ დასკვნაში. კომისიის წევრების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით დაწესებულებას ცვლილებები არ ჰქონდა შეტანილი დებულებაში, თუმცა აღნიშნული სავსებით შესაძლებელი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 15:10 საათი

საბჭოს სხდომა განახლდა: 15:14 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის საფუძველზე შეწყდეს შპს შავის ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭომ განსაზღვრა, რომ ყველა რეკომენდაცია გადავიდეს რჩევაში.

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "წყლის ინჟინერიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა (ჩ არჩო);

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• არა
საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
• არა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 23 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,წყლის ინჟინერიის" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმური მონიტორინგის განხორციელება დაწესებულების მიერ ცენტრში 2022 წლის 30 ნოემბრის წერილით წარმოდგენილი ,,წყლის ინჟინერიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო

პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით. მონიტორინგის მიზანია, ინსტიტუციის მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შეფასება. შეფასება განხორციელდა უსდ-ს ავტორიზაციის მე-3 „საგანმანათლებლო პროგრამები“ და მე-4 „უსდ-ის პერსონალი“ სტანდარტების შესაბამისად. შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,წყლის ინჟინერიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მუშაობს ავტორიზებულ რეჟიმში.
საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები გადანაწილებულია შემდეგნაირად: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 80 ECTS კრედიტი; მათ შორის პრაქტიკის კომპონენტი გათვალისწინებულია სასწავლო კურსში „წყლის რესურსების ინჟინერია“ 15 სთ. ოდენობით სემესტრის განმავლობაში; ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები - 10 ECTS კრედიტი; სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი, 30 ECTS კრედიტი.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ განისაზღვრა სამი რჩევა და ერთი რეკომენდაცია; აქედან, ერთი რჩევა მე-3 სტანდარტის 3.3 კომპონენტთან მიმართებით, ორი რჩევა - მე-4 სტანდარტის 4.1 კომპონენტთან მიმართებით, ხოლო რეკომენდაცია განისაზღვრა მე-4 სტანდარტის 4.2 კომპონენტთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში არსებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის მდგრადობისათვის მოხდეს დამატებითი აკადემიური და/ან მოწვეული პერსონალის მოზიდვა და ჩართვა პროგრამის განხორციელებაში.

დაწესებულებამ არგუმენტირებულ პასუხსში წარმოადგინა ინფორმაცია 4.2 პუნქტში გაცემული რეკომენდაციის საპასუხოდ. კერძოდ, განაცხადა, რომ დაამატა პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი - 3 პროფესორი და 2 ასოცირებული პროფესორი. როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან ირკვევა, ყველა მათგანი არის დაწესებულებასთან აფილირებული. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ჩაითვალოს, რომ პროგრამას მოემსახურება 9 აფილირებული აკადემიური პერსონალი - 5 პროფესორი და 4 ასოცირებული პროფესორი. აქვე აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულ ცვლილებას ვერ გაითვალისწინებს შეფასების ნაწილში, 5 ვინაიდან იგი განხორციელდა შეფასების შემდგომ პერიოდში და ამ დამატებით გარემოებასთან მიმართებით შეფასება არ განხორციელებულა.

რაც შეეხება სტანდარტების შეფასების ნაწილს, სტანდარტი 3. საგანმანათლებლო პროგრამები - შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნული სტანდარტის 3.1, 3.2 და 3.3 კომპონენტები შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. სტანდარტი 4. უსდ-ის პერსონალი - შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. აღნიშნული სტანდარტის 4.1 კომპონენტი შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო 4.2 კომპონენტი როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა გაიზიარა ექსპერტა მიერ განსაზღვრული რეკომენდაცია აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით და შესაბამისად მოხდა პროგრამის ფარგლებში კადრების დამატება.
საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 15:19 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 15:24 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "წყლის ინჟინერიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103 - ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის 25 - ე პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "წყლის ინჟინერიის" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს თავმჯდომარემ კახა შენგელიამ დატოვა საბჭოს სხდომა, შესაბამისად მეექვსე საკითხის განხილვას უხელმძღვანელა სხდომის თავმჯდომარის მოადგილემ ზურაბ ორჯონიკიძემ.

6. შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის" გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
- არა

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ

საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის IV კვარტალში განისაზღვრა შ.პ.ს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედის“ ავტორიზაციის პირობების შემოწმება მონიტორინგის გზით. გეგმიური მონიტორინგის საფუძველი გახდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2021 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება. შეფასების ფარგლებში, ბრძანების თანახმად განხორციელდა ყველა სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება. შეფასების პროცესი განხორციელდა 2022 წლის 8 და 9 დეკემბერს. კერძოდ, პირველ დღეს განხორციელდა ვიზიტი სასწავლო დაწესებულებაში, ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და საუნივერსიტეტო ბაზაზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერება, ასევე მოხდა ვიზიტი პრაქტიკის (კლინიკურ) ობიექტებზე, მომდევნო დღე სრულად დაეთმო ინტერვიურების პროცესს. შემოწმების პროცესში საჭირო გახდა დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, რომელთა მოწოდება დროულად თუმცა არასრულად იქნა უზრუნველყოფილი ინსტიტუციის მიერ,საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მოწოდებულ იქნა არგუმენტირებული პოზიცია, შესწავლილი გარემოებების გათვალისწინებით მოხდა დასკვნის წარმოდგენა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

სტანდარტი 1- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდრტი 2- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 3 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 5 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 6 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სტანდარტი 7 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში არსებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებში ჩართული სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის გაზრდა საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით.

2. რეკომენდირებულია გააქტიურდეს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები საგანმანათლებლო პროგრამებში გაწერილი სწავლის შედეგებისა და პრაქტიკული უნარების შეფასების კუთხით.

3. საჭიროა დასრულდეს ანტიპლაგიატის პროგრამის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში ინტეგრირება და სტუდენტთა შორის აკადემიური კეთილსინდისიერების განუხრელი დაცვის მიზნით ყველა წერითი ნაშრომის პლაგიატის აღმომჩენი პროგრამით შემოწმება.

4. რეკომენდირებულია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისათვის პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოებთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ და როგორც პროგრამაში ასევე სილაბუსებში სწავლის ანალიზის შედეგების ფორმირება ახლანდელ დროში აქტიური ზმნების გამოყენებით;

5. რეკომენდირებულია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისათვის სასწავლო კურსების გადახედვა და ზოგიერთი სასწავლო კურსის არჩევითიდან სავალდებულოში გადმოტანა, მაგ: სოციოლოგია, სასამართლო მედიცინა, კლინიკური ტოქსიკოლოგია, ზოგადი ფსიქოლოგია,

ზოგიერთი სასწავლო კურსის დამატება - მაგ. საოჯახო მედიცინა;
6. რეკომენდირებულია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისათვის ინტეგრაციების გადახედვა სასწავლო თემატიკების გათვალისწინებით;
7. რეკომენდირებულია მედიცინის ქართულენოვან პროგრამაში სასწავლო ლიტერატურის განახლება;
8. რეკომენდაცია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისათვის სასწავლო კურსების წინაპირობების გადახედვა და წინაპირობის სახელწოდების დაკონკრეტება სასწავლო კურსის სახელწოდებით რიგ სასწავლო კურსებში;
9. რეკომენდირებულია მედიცინის ერთაფეხურიანი პროგრამის რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში გადახედილ იქნას შეფასების სისტემა დაკონკრეტების მიზნით;
10. რეკომენდირებულია მედიცინის პროგრამის განხორციელების დროს პაციენტების თანხმობის მიღების შედეგ მათი ჩართვა სწავლების პროცესში;
11. რეკომენდირებულია განხორციელდეს პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარების იმ შედეგების შეფასების ანალიზი, რომლებიც რეალურად დანერგილი და გამოყენებული იქნება პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის დროს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას და ხარისხის უზრუნველყოფას;
12. რეკომენდირებულია მონიტორინგი გაეწიოს სასწავლო პროცესს, რომ სწავლის შედეგების შეფასება მოხდეს პროგრამასა და სილაბუსებში გაწერილი მეთოდების (მედიცინის პროგრამის შემთხვევაში, ასევე მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად);
13. რეკომენდირებულია მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამის განმახორციელებელი პერსონალს გადამზადება სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში, ისე რომ პროგრამის განმახორციელებლმა პერსონალმა შეძლოს სასწავლო კურსში ასახული სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდების განხორციელება სწავლების პროცესში;
14. სასწავლო უნივერსიტეტის "გეომედი" მისიიდან, მიზნებიდან და პრიორიტეტებიდან გამომდინარე დაიგეგმოს სამეცნიერო კვლევითი პროექტები ყველა მიმართულებით.
15. რეკომენდებულია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში ობიქტურად სტრუქტურირებული გამოცდის ჩატარება ისე, რომ არ დაირღვეს სტრუქტურიზაცია და პროცესის წარმოება განხორციელდეს შესაბამისად აღჭურვილ გარემოში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, ექსპერტების მიერ განსაზღვრული იქნა 15 რეკომენდაცია, საიდანაც სამი რეკომენდაცია იყო ძველი, რაც ექსპერტთა შეფასების შესაბამისად არ იქნა დაწესებულების მიერ შესრულებული, დანარჩენი 12 რეკომენდაცია რომელიც დასკვნაში იყო მოცემულია იყო ახალი, მონიტორინგის ვიზიტის დროს განსაზღვრული.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულებამ თურქეთის უნივერსიტეტთან განახორციელა გაცვლითი პროგრამა. ამასთან განხორციელდა აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამა, გამომდინარე აქედან რეკომენდაცია არ არის რელევანტური, ვინაიდნა დაწესებულების მიერ შემუშავებული იქნა ქმედითი მექანიზმები და ცხადდებოდა ასევე შესაბამისი კონკურსებიც, როგორც სტუდენტებისთვის ასევ აკადემიური პერსონალისთვის.

რაც შეეხება ანტიპლაგიატის პროგრამას, აღნიშნული ასევე წარმოადგენს ძველი რეკომენდაციის ინტერპრეტაციას. როდესაც საბჭოს მიერ გაცემული იქნა მსგავსი რეკომენდაცია, დაწესებულებამ აქტიურად იმუშავა ამ კუთხით და აწარმოებდა ანტიპლაგიატზე შეფასებას საბიბლიოთეკო რესურსის საფუძველზე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა შეიძინა საკუთარი პლატფორმა, რომელიც გამოიყენებოდა აბსოლუტურად ყველა ნაშრომთან მიმართებით, რომელიც მუშავდებოდა უნივერსიტეტის ფარგლებში. გამომდინარე აქედან, აკადემიური წერის სილაბუსში შეტანილი იქნა ცვლილება

და შესაბამისად მე-9 კვრას სტუდენტის მიერ ხდება მცირე თემი შემუშავება და შემდგე ამის პლაგიატს სისტემაში შეფასება, ხოლო მე-10 კვირას კი დეტალური განხილვა პროცესის. გამომდინარე აქედან დაწესებულება მიიჩნევს, რომ ანტიპლაგიატის შეფასების სისტემა სრულიად იქნა დანერგილი უნივერსიტეტში. თუმცა ექსპერტები განმარტავენ, რომ მიუხედავად პლატფორმის არსებობისა, მისი იმპლემენტაცია უნდა მომხდარიყო სწავლის მართვის საინფორმაციო სისტემაში. მოცემულთან დაკავშირებით დაწესებულებს წარმომადგენელმა განმარტა, რომ ასე მარტივად შეუძლებელია ერთი სისტემის მეორეში დანერგვა.

მნიშვნელოვანია ასევე ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს უნდა აღინიშნოს, რომ მე-2, მე-11 და მე12 რეკომენდაცია, რომელიც მოცემული იყო დასკვნაში, შინაარსობრივად იდენტურია. აღნიშნული ეხებოდა პრაქტიკული და კლინიკური უნარების შეფასებას. რა თქმა უნდა პრაქტიკული უნარების დაწესებულებაში ფასდებოდა საკმაოდ კვალიფიციურად, ამასთან თავად ექსპერტები წერდნენ რომ დაწესებულებაში გამოიყენებოდა შეფასების სხვადასხვა მეთოდები და ასევე OSCE, თუმცა არ იყო თანმიმდევრული. აღნიშნული აიხსნება იმით, რომ სტუდენტი გადადიოდა ჯერ ერთ სადგურში, ხოლო შემდგომ მეორეში, მესამეში და ა.შ. სტუდენტის შეფასება ხდებოდა თითოეულ სადგურზე, დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილი იყო პედაგოგების მიერ ხელმოწერილი ჩეკლისტები. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია დადასტურებით ამტკიცებდა იმას, რომ პროგრამის ფარგლებში ხდებოდა კლინიკური უნარ-ჩვევების შეფასება.

მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ინსტიტუციის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩო გულისხმობს სწავლის შედეგებს, რომელიც გაწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარებით, პასუხისმგებლობითა და ავტონომიურობით. მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ პროგრამა სრულიად შესაბამისობაშია კვალიფიკაციის ჩარჩოსთან. შესაბამისად, ექსპერტთა მოსაზრება, რომ მედიცინის პროგრამა არ შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელში გაწერილ სწავლის შედეგებს სრულიად არაკომპეტენტურია, შესაბამისად რეკომენდაცია ეფუძნებოდა მცდარ ანალიზს ექსპერტების მხრიდან. ამასთან, პროგრამას გავლილი ჰქონდა აკრედიტაცია, რაც დადასტურებული იყო როგორც აკრედიტაციის საბჭოს ასევე ექსპერტების მიერ.

რაც შეეხება რეკომენდაციას, სამეცნიერო პროექტების დაგეგმვის შესახებ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაწესებულებას ჰქონდა სამეცნიერო კვლევის ინტიტუტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდებოდა კვლევები. ამასთან, ინსტიტუცია აცხადებდა შიდა კონკურსებსა და სხვდასხვა გრანტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ დააზუსტა ექსპერტთა რეკომენდაცია შედეგების შესაბამისობასთან დაკავშირებით და შესაბამისად მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს განმარტებისკენ. ამასთან, საბჭოს წევრმა განმარტა, რომ სასწავლო კურსების განაწილება, კერძოდ არჩევითიდან სავალდებულოში გადატანა და პირიქით არის გემოვნების საკითხი, შესაბამისად აღნიშნული უნდა დარეგულირდეს თავად ინსტიტუციის მიერ. თუცა, უნდა აღინიშნოს ,,საოჯახო მედიცინის“ სასწავლო კურსი, რომელიც არს ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი კლინიკური როტაციების ბოლო კურსებზე. გამომდინარე აქედან მნიშვნელოვანია დაზუსტდეს, მოცემულ პროგრამაზე სავალდებულოა არის თუ არა ,,საოჯახო მედიცინა“.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა რეკომენდაცია ინტეგრაციებთან დაკავშირებით და მოუწოდა დაწესებულებას დაეზუსტებინათ თუ რა დონის ინტეგრაციები არის თემატიკის მიხედვით გათვალისწინებული. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება ექსპერტმა რეკომენდაციაში მიუთითოს ინტეგრაციის დონე.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ თუ როგორ ითვლება პროგრამის დამთავრების მაჩვენებელი, ვინაიდან სამაგისტრო დონეზე მოცემული იყო რომ სტატუსი შეიჩერა ექვსმა სტუდენტმა, ხოლო დამთავრების მაჩვენებელი იყო 100%. ამასთან, საბჭოს წევრმა აღნიშნა რომ გაეცნო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე

მოცემულ კვლევებს, შესაბამისად მოუწოდა ექსპერტებს დაეზუსტებინათ ისინი გაეცნენ თუ არა ამ კვლევებს, რამდენად ხორციელდება მოცემული კვლევები და არის თუ არა საკმარისი.
საბჭოს წევრმა, გაგა გვენეტაძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციის მიხედვით სტუდენტებს არ აქვთ გასაჩივრების უფლება, რაც შეზღუდული იყო დაწესებულების მხრიდან, თუმცა მე-5 რეკომენდაცია, რომელიც სწორედ რომ სტუდენტებს ეხებოდა განსაზღვრული იყო როგორც სრულიად შესაბამისი მოთხოვნებთან, გამომდინარე აქედან საბჭოს წევრმა მოუწოდა ექპერტებს განმარტებისკენ.
საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ საერთაშორისო ჩართულობისა და გაცვლითი პროგრამები მაჩვენებელი და ზოგადი მდგომარეობა დაწესებულებაში და ასევე ლიტერატურის განახლებისა და რელევანტურობის საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს მისი შემადგენელი ყველა კომპონენტის ლოგიკურ კავშირს და საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას გონივრულ ვადაში, დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის (როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი) სწავლის შედეგები ზუსტად იმეორებს მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელში გაწერილ სწავლის შედეგებს - რომელიც არის სარეკომენდაციო ხასიათის , სქემატურად (copy-paste) არის გადმოტანილი საგანმანათლებლო პროგრამაში. სწავლის შედეგები არ არის ფორმულირებული აქტიური ზნების გამოყენებით, აწმყო დროში. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სრულად ვერ ფარავს სწავლის შედეგებს, მაგ: სწავლის შედეგი: კურსდამთავრებულს აქვს დარგობრივი ცოდნა რაც მოიცავს ბიოსამედიცინო, ქცევით, სოციალურ, კლინიკური მეცნიერებებს და დარგის ფუნდამენტურ პრინციპებს. ქცევითი და სოციალური მეცნერებები: სოციოლოგია - აღნიშნული სასწავლო კურსი არის არჩევითი და არა სავალდებულო სტუდენტისათვის, შესაბამისად ვერ იფარება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგი და მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელით განსაზღვრული ზოგიერთი დისციპლინა.
რაც შეეხება ინტეგრაციის დონეებს, მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა არის ინტეგრირებული (ინტერვიუს დროს აღინიშნა ინტეგრაციის მე-6 დონე), თუმცა სასწავლო კურსებში ასახული ინტეგრაცია არაა თემატურად შესაბამისობაში ერთმანეთთან. ინტეგრირებულია შემდეგი დისციპლინები: სასუნთქი სისტემის პათოლოგიები, კარდიოლოგიური პათოლოგიები, საჭმლის მომნელებელი სისტემის პათოლოგიები, ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის პათოლოგიები, თირკმლის პათოლოგიები, ჰემატოლოგიური პათლოგიები, ენდოკრინული პათოლოგიები; სასწავლო კურსი შინაგანი დაავადებები 2 (სპეციალობის კლინიკური სავალდებულო) VIII სემესტრი – 15 კრედიტი ინტერგრირებულია იგივე დისციპლინები რაც შინაგანი მედიცინა 1- ში. ისე რომ სტუდენტისათვის ლოგიკური ინტეგრაციის დანახვის შესაძლებლობა და საკითხის ერთ მთლიანობაში აღქმის დანახვის საშუალება ნაკლებია.
ლიტერატურასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვან პროგრამაში ზოგიერთ სასწავლო კურსში მითითებული სასწავლო ლიტერატურა არის მოძველებული მაგ: ნეფროლოგია, უროლოგია (VIII სემესტრი, 5 ECT ძირითადი ლიტერატურა: 1.ბაბუხადია ვ. - უროლოგია. თბ., 1989. 2.ემუხვარი ნ., 28 კასრაძე დ. - შინაგანი სნეულებანი. კომპაქტ-დისკით, სახელმძღვანელო, I ტომი, თბ., 2008. 3.ტატიშვილი ნ., სიმონია გ. - შინაგანი სნეულებანი. საქართველოს მაცნე, თბ., 2002.); მეანობა (IX სემესტრი) ძირითადი ლიტერატურა: 1. ბოდიაჟინა ვ., სეროვი ვ. - მეანობა. თბ., 2002. 2. გიგინეიშვილი მ.ს.,

გიგინეიშვილი მ.მ.- მეანობა. თბ., 2003. 3.რედ. კინტრაია პ. - პერინატოლოგია, მეანობა და გინეკოლოგია. თბ., 2003); ოფთალმოლოგია (IX სემესტრი) ძირითადი ლიტერატურა 1.ბერაძე ნ., ჩიქოვანი ლ. - თვალის დაავადებები - თბ.,1987. 2.ალექსიძე ა. - მხედველობის ორგანოს დაავადებათა დიფერენციული დიაგნოსტიკა- თბ., 1997 წ.). მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუციამ გაიარა აკრედიტაცია ექსპერტებს დახვდათ აღნიშნული მოცემულობა.
საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა მოუწოდა ექსპერტს დაედასტურებინა, რომ ზემოაღნიშნული ლიტერატურის განახლებული ვერსიები არსებობდა.
ექსპერტმა განმარტა, რომ ლიტერატურა საკმაოდ მოძველებულია, 1887-1992 წლების არის ძირითადად მოცემული, შესაბამისად მათი განახლებული ვერსიები დადასტურებულად არსებოდა.
რაც შეეხება კვლევით მიმართულებას, ვიზიტის დროს რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში აღნიშნა რომ დაწესებულება ახორციელებს რამოდენიმე კვლევით პროექტს, კონკრეტული ერთი მიმართულებით პრიორიტიზირება არ მიაჩნია მას მართებულად. დაწესებულება ახორციელებს კვლევით პროექტს გინეკოლოგიის მიმართულებით, პროექტი გაწერილი იყო 18 თვეზე, ბიუჯეტი წარმოადგენდა 75000 ლარს. აღნიშნულ პროექტში ჩართული იყვნენ 5 პერსონალი, თუმცა ყველა არ იყო აფილირებული სასწავლო უნივერსიტეტ გეომედთან. აღნიშნულ კვლევაში სტუდენტები არ იყვნენს ჩართულები. უნდა აღინიშნოს, რომ გეგმა დაწესებულებას შემუშავებული აქვს, თმცა ბოლო ერთი წლის განმავლობაში პრიორიტეტი იყო გინეკოლოგია, სწორედ ამ გარემოებით იყო გამოწვეული რეკომენდაცია საკითხთან დაკავშირებით. რაც შეეხება მე-5 სტანდარტს, დაწესებულების მიერ სრულიად იყო გათვალისწინებული საბჭოს რეკომენდაციები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა კვლევებთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა დამოუკიდებელი სამეცნიერო ფონდი, რომელიც უზრუნველყოფდა სხვადასხვა კვლევის დაფინანსებას. მიუხედავად იმისა, რომ ჩატარდა პროექტი გინეკოლოგიის მიმართულებით, დაწესებულებაში ასევე აქტიურად ხორციელდებოდა შიდა პროექტები სხვადასხვა მიმართულებით, რაც ჩანდა დაწესებულების მიერ მოწოდებულ ჩამონათვალში, ასევე სხდომის ოქმებსა და გამოქვეყნებებში. დაწესებულებას ასევე ჰქონდა კვლევები სტომატოლოგიის მიმართულებით.
საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 16:43 საათი
საბჭოს სხდომა განახლდა: 16:53 საათი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედში“ დაფიქსირებული ხარვეზის გამოსასწორებლად 60 დღის ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლი პირველი, 21-ე პუნქტების შესაბამისად, შპს სასწავლო უნივერსიტეტ „გეომედს" დაფიქსირებული ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღის ვადა.

საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებში ჩართული სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის გაზრდა საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით;
2. გააუმჯობესეთ ხარისხის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო ერთეულების დონეზე;
3. რეკომენდირებულია გააქტიურდეს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები საგანმანათლებლო პროგრამებში გაწერილი სწავლის შედეგებისა და პრაქტიკული უნარების შეფასების კუთხით;
4. უნივერსიტეტის მმართველობამ უნდა განიხილოს პლაგიატის აღმოჩენის საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა, მისი LMS სისტემაში ინტეგრირება და პლაგიატზე შეამოწმოს სტუდენტების ყველა წერითი ნაშრომი;
5. რეკომენდირებულია მონიტორინგი გაეწიოს სასწავლო პროცესს, რომ სწავლის შედეგების შეფასება მოხდეს პროგრამასა და სილაბუსებში გაწერილი მეთოდების (მედიცინის პროგრამის შემთხვევაში, ასევე მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად);
6. რეკომენდირებულია განხორციელდეს პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარების იმ შედეგების შეფასების ანალიზი, რომლებიც რეალურად დანერგილი და გამოყენებული იქნება პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის დროს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას და ხარისხის უზრუნველყოფას;
7. უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს უნივერსიტეტის თანამშრომლების საჭიროებების სისტემური შესწავლა და ამის მიხედვით განსაზღვროს ტრენინგების მიმართულებები როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალის განვითარებისთვის;
8. საჭიროა დასრულდეს ანტიპლაგიატის პროგრამის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ ბაზაში ინტეგრირება და სტუდენტთა შორის აკადემიური კეთილსინდისიერების განუხრელი დაცვის მიზნით ყველა წერითი ნაშრომის პლაგიატის აღმომჩენი პროგრამით შემოწმება;
9. რეკომენდირებულია მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამის განმახორციელებელი პერსონალს გადამზადება სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში, ისე რომ პროგრამის განმახორციელებლმა პერსონალმა შეძლოს სასწავლო კურსში ასახული სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდების განხორციელება სწავლების პროცესში;
10. რეკომენდებულია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში ობიქტურად სტრუქტურირებული გამოცდის ჩატარება ისე, რომ არ დაირღვეს სტრუქტურიზაცია და პროცესის წარმოება განხორციელდეს შესაბამისად აღჭურვილ გარემოში;
11. აიმართოს სტუდენტების გასაჩივრების მექანიზმები და დარწმუნდით, რომ სტუდენტებს მიეცეს საშუალება ყველა ტიპის შეფასების გასაჩივრების (მათ შორის პრაქტიკული დავალებების);
12. რეკომენდირებულია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისათვის პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოებთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ და როგორც პროგრამაში ასევე სილაბუსებში სწავლის ანალიზის შედეგების ფორმირება ახლანდელ დროში აქტიური ზმნების გამოყენებით;
13. რეკომენდირებულია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისათვის სასწავლო კურსების გადახედვა და ზოგიერთი სასწავლო კურსის არჩევითიდან სავალდებულოში გადმოტანა, მაგ: სოციოლოგია, სასამართლო მედიცინა, კლინიკური ტოქსიკოლოგია, ზოგადი ფსიქოლოგია, ზოგიერთი სასწავლო კურსის დამატება - მაგ. საოჯახო მედიცინა;
14. რეკომენდირებულია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისათვის ინტეგრაციების გადახედვა სასწავლო თემატიკების გათვალისწინებით;
15. რეკომენდირებულია მედიცინის ქართულენოვან პროგრამაში სასწავლო ლიტერატურის განახლება;

16. რეკომენდაცია მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისათვის სასწავლო კურსების წინაპირობების გადახედვა და წინაპირობის სახელწოდების დაკონკრეტება სასწავლო კურსის სახელწოდებით რიგ სასწავლო კურსებში;
17. რეკომენდირებულია მედიცინის ერთაფეხურიანი პროგრამის რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში გადახედილ იქნას შეფასების სისტემა დაკონკრეტების მიზნით;
18. რეკომენდირებულია მედიცინის პროგრამის განხორციელების დროს პაციენტების თანხმობის მიღების შედეგ მათი ჩართვა სწავლების პროცესში;
19. რეკომენდირებულია განხორციელდეს პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარების იმ შედეგების შეფასების ანალიზი, რომლებიც რეალურად დანერგილი და გამოყენებული იქნება პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესის დროს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას და ხარისხის უზრუნველყოფას;
20. რეკომენდირებულია მონიტორინგი გაეწიოს სასწავლო პროცესს, რომ სწავლის შედეგების შეფასება მოხდეს პროგრამასა და სილაბუსებში გაწერილი მეთოდების (მედიცინის პროგრამის შემთხვევაში, ასევე მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად);

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
თავმჯდომარის მოადგილე
ორჯონიკიძე ზურაბ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა